ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5243179

ნომერი: AR1793403

თარიღი : 08.12.2020

გაცემის თარიღი : 29.12.2020

გაცნობის თარიღი : 30.12.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი გლდანი, გრიგოლ ორბელიანის ქუჩა, N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია შეუსაბამობის ხარისხის უცვლელად არსებულ გაბარიტებში შენობის ფუნქციის ცვლილების გარეშე , გაბარიტული ზომების უცვლელად ,სახურავის საფარის მასალის ცვლილება გადახურვის სიმაღლის, კეხისა და ქანობის ცვლილების გარეშე ასევე ფასადის რეკონსტრუქციის განხორციელება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს თქვენს მიერ განსახორციელებელ სამუშაოებზე მსჯელობა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

წარმოსადგენია არსებული შენობის ანაზომი და საპროექტო ნახაზები : გენ-გეგმა გეგმები (მათ შორის სახურავის გეგმა) ფასადები და ჭრილები დაღერძილი დეტალური ზომების დატანით , ასევე მასალის ფერისა და ფაქტურის მითითებით . ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი მასალისა და დეტალური ზომების დატანით.

ამ ეტაპზე წარმოდგენილია მხოლოდ წარწერით ანაზომი ნახაზები , იმ განსხვავებით , რომ პასუხისმგებელი პირის მიერ არის ხელმოწერილი (სავარაუდოდ საპროექტოა და შტამპშია მიწერილი ანაზომი);

გაითვალისწინეთ ,რომ ანაზომი და საპროექტო ნახაზები დაღეძილი უნდა იქნას ერთნაირი თანმიმდევრობით და მიწერილი უნდა ქონდეს შესაბამისი ზომები ;

საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.